შპს „პოლიგრაფ-სერვისი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშო პერიოდისთვის

შპს „პოლიგრაფ-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში 4
კაპიტალის ცვლილების ანგარიში 5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 6

შინაარსი

1. ზოგადი ინფორმაცია 7
2. მომზადების საფუძვლები 7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 7
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 8
5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 16
6. სასაქონლო - მატერიალური მარაგები 17
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 17
8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 17
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 17
10. საგადასახადო ვალდებულებები 18
11. საწესდებო კაპიტალი 18
12. შემოსავალი რეალიზაციიდან 18
14. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები 20
15. ბალანსის შემდგომი მოვლენები 20
16. საწარმოს უწყვეტობის განხილვა 20

შპს „პოლიგრაფ-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსურ მდგომარეობის ანგარიში

	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	62 960	96 092
გადახდილი ავანსები		19 827	304 392
გაცემული სესხები		150 000	-
მიმდინარე მარაგები	6	888 040	871 840
სავაჭრო მოთხოვნები	7	9 630	7 661
სხვა საგადასახადო აქტივი		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		16 803	4 447
სხვა არამატერიალური აქტივები		-	3 103
ძირითადი საშუალებები	5	756 943	403 645
სულ აქტივები		**1 904 202**	**1 691 180**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	9	20 049	26 440
საგადასახადო ვალდებულება	10	-	7 966
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	82
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		(0)	12 000
სულ ვალდებულებები		**20 049**	**46 487**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	2 010	2 010
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1 882 143	1 642 683
სულ საკუთარი კაპიტალი		**1 884 153**	**1 644 693**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**1 904 202**	**1 691 180**

დირექტორი ისმეთ ტანტიბა

03 აგვისტო2023 წელ
საქართველო, ბათუმი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	12	1 129 505	817 795
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(501 772)	(390 234)
პერსონალის ხარჯი		(297 265)	(257 919)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(10 096)	(9 636)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		(64)	-
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(28 248)	(25 103)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(1 828)	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(14 770)	(37 278)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(22 928)	(19 882)
საოპერაციო მოგება		**252 435**	**77 742**
სხვა ფინანსური შემოსავალი		11 753	-
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავალი/ ხარჯი		1 475	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		169	10 566
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		**265 931**	**88 307**
მოგების გადასახადი		(26 471)	-
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		**239 461**	**88 307**
შეწყვეტილი ოპერაციები		-	-
მოგება/(ზარალი)		**239 461**	**88 307**

დირექტორი ისმეთ ტანტიბა

03 აგვისტო 2023 წელი
საქართველო, ბათუმი

<u>შპს „პოლიგრაფ-სერვისი“</u>
<u>ფინანსური ანგარიშგება</u>
<u>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u>

კაპიტალს ცვლების ანგარში

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	ძირითად საშუალებების გადფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2 010**	**1 642 682**	**-**	**1 644 692**
დივიდენდის გამოცხადება	-			-
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	-	239 461		239 461
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2 010**	**1 882 143**	**-**	**1 884 153**

დირექტორი

ისმეთ ტანტიბა

03 აგვისტო2023 წელი
საქართველო, ბათუმი

ფულად სახსრების მოძრაობის ანგარიში

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებულია დებიტორებისგან	1 336 389	971 638
გაცემულია მომწოდებლებზე	(678 441)	(462 882)
გადახდილი გადასახადები	(288 439)	(182 218)
გადახდილია ხელფასები	(242 473)	(201 713)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(10 168)	(38 352)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**116 869**	**86 472**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმინობიდან		
შვილობილი საწარმოს შეძენა	-	-
გაცემულია სესხი	(150 000)	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(150 000)**	**-**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		-
გადახდილი დივიდენდი	-	(205 000)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**-**	**(205 000)**
სავალუტო კურისის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ეკვივალენტებზე	**-**	**-**
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებში	**(33 131)**	**(118 528)**
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	**96 092**	**214 619**
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	**62 960**	**96 092**

დირექტორი ისმეთ ტანტიბა

03 აგვისტო2023 წელ
საქართველო, ბათუმი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „პოლიგრაფ- სერვისი“ (შემდგომში ,,კომპანია“) წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის დამფუძნებლები არიან ისმეთ ტანტიბა, პირადი ნომერი - 61001005523 და ლია შათირიშვილი, პირადი ნომერი - 61002004696. კომპანიის სტრუქტურა, უფლებამოსილება და მართვის ორგანიზება განსაზღვრულია წესდებით. უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და წესდებით. შპს „პოლიგრაფ-სერვის“-ის ძირითადი საქმიანობაა ბეჭდვითი საქმიანობა, პოლიგრაფიული მომსახურეობა და საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობა. ძირითად შემოსავლებს წარმოადგენს პოლიგრაფიული მომსახურეობიდან და ბეჭდვითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

შპს „პოლიგრაფ-სერვი“-სს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარტნიორთა კრება.

2. მომზადების საფუძვლები

ა) შესაბამისობის ანგარიშგება

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს-ზე დაფუძნებულ ანგარიშს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ევროგაერთიანების მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ფასს-თან ერთად) მიხედვით (მიღებული ფასს) და შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოშვებულ ფასს–თან.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ბ)საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეფექტი აისახება კაპიტალში, როგორც ფულადი ნაკადების და წმინდა ინვესტიციის ჰეჯირება.

ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის ეფექტის წარდგენა ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში - ,,მოგება ან ზარალი საკურსო სხვაობებიდან“, სხვა საკურსო სხვაობებთან ერთად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2.0976	3.5040
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

(ა) **სესხები და მოთხოვნები.** ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

(ბ) **დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.** დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია საწარმოს, გარდა იმისა:

(ა) რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღირებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით;

(ბ) რომლებსაც კომპანია განიხილავს, როგორც გასაყიდად გამიზნულს; და

(გ) რომლებსაც მიესადაგება განმარტება - სესხები და მოთხოვნები.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

(გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

(ა) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული. ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ გამიზნული, თუ იგი:

1) შეძენილია ან აღებულია მხოლოდ გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს ვადებში;

2) თავდაპირველი აღიარებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან

3) წარმოებული ინსტრუმენტია (იმ წარმოებულის გამოკლებით, რომელიც არის ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტადაა მიჩნეული).

(ბ) თავდაპირველი აღირებისას კომპანიის მიერ იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანიის ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში შეიძლება:

1) თუ კონტრაქტი შეიცავს ერთ ან მეტ წარმოებულ ინსტრუმენტს, კომპანიას უფლება აქვს, ჰიბრიდული (კომბინირებული) კონტრაქტი მიიჩნიოს ფინანსურ აქტივად, რომელიც კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:

- ჩართული წარმოებული (წარმოებულები) მნიშვნელოვნად არ ცვლის იმ ფულადი ნაკადების სიდიდეს, რომელიც კონტრაქტით სხვა შემთვევაში იქნებოდა მოთხოვნილი;
- მსგავსი ჰიბრიდული (კომბინირებული) ინსტრუმენტის პირველად განხილვის დროს, ანალიზის გარეშე ან მცირე ანალიზიდანაც აშკარად ჩანს, რომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა იკრძალება, როგორიცაა, მაგალითად, სესხში ჩართული წინასწარ გადახდის არჩევანის უფლება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, სესხის დასაფარად გადაიხადოს დაახლოებით მისი ამორტიზებული ღირებულების ტოლი თანხა; ან

2) როდესაც ამის გაკეთება უფრო შესაბამის ინფორმაციას იძლევა, რადგან:

- იგი მთლიანად მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამობებს (რასაც ზოგჯერ ,,საღრიცხვო შეუსაბამობას“ უწოდებენ), რაც სხვა შემთვევაში წარმოიქმნებოდა განსხვავებულ საფუძველზე აქტივების შეფასებიდან ან მათი შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან; ან
- ფინანსური აქტივების ფონდი იმართება და მისი შედეგის შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება, დადგენილი რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად და აღნიშნული ფონდის შესახებ ამავე საფუძვლით მომზადებული ინფორმაცია მიეწოდება კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(დ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველად, ისინი აღირიცხება რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების გადაფასება ხდება რეალური ღირებულებით, გარდა იმისა თუ ეს სხვაობა გამოწვეული არ არის საკურსო სხვაობის ცვლილების გამო, ცალკეულ კომპონენტად ასახვით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საკურსო სხვაობით გამოწვეული ეფექტი აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

როდესაც ბაზარზე არის გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი დაცემა (ეს მიანიშნებს მათ გაუფასურებაზე), გაუფასურების მთელი ღირებულება, მათ შორის წინა პერიოდებში აღიარებული სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მიმდინარე პერიოდში კომპანია აღიარებს მოგება-ზარალში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა აღიარდება ოპერაციის განხორციელების თარიღით. ამ თარიღებს შორის აქტივების რეალური ღირებულების ცვლილება აღიარდება გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების რეზერვად, გაყიდვის თარიღისთვის რეზერვად აღიარებული შემოსავალი (ზარალი) ამოიღება საკუთარი კაპიტალიდან და აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია) რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თავდაპირველად კომპანია აფასებს არსებობს თუ არა თითოეული დიდი მოცულობის მქონე აქტივის გაუფასურების ობიექტური საფუძველი და მცირე მოცულობის აქტივების ცალ-ცალკე ან ერთობლივად გაუფასურების საფუძველი. თუ დადგინდა, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების იმ ფონდში, რომელთაც გააჩნიათ ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ფონდის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული აქტივების გაუფასურების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ა) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ბ) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან.

კომანიის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია):

1) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;

2) თავდაპირველი აღირებისას კომპანიის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც აღიარებული თანხების გადაფარვის კანონიერი უფლება არსებობს და ასევე, არსებობს მათი ნეტო თანხით წარდგენის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულების დაფარვის განზრახვა.

ძირითადი საშუალებები

(ა) აღიარება და შეფასება

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16-ის - „ძირითადი საშუალებები“ მიხედვით. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანაგრიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება ვალდებულებებში რეზერვის სახით.

თუ ძირითადი საშუალების ცალკეულ ერთეულს ექსპლუატაციის სხვადასხვა პერიოდი აქვს, მაშინ ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკეულ ერთეულად (ძირითად კომპონენტებად).

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (სხვაობა გაყიდვის ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯში.

(ბ) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ

მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

(გ) ცვეთა

ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ფასს 5–ის - “გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები” შესაბამისად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება დაჩქარებული ცვეთის მეთოდით, განსაზღვრული კოეფიციენტების შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო მომსახურების ვადები (წელი)
შენობები	1
ნაგებობები	1
მანქანა-დანადგარები	8-20
ვიდეო-კონტროლის სისტემა	20
ოფისის აღჭურვილობა	20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20
სატრანსპორტო საშუალებები	20
არამატერიალური აქტივები	15

არამატერიალური აქტივები

ა) კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია პროგრამული უზრუნველყოფის აქტივების სახით (ხუთ წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები ბალანსში აღირიცხება თვითღირებულებისა და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებს და შემოსავლებს კომპანია ხარჯად აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის მიღებას ან გადაცემას.

საწყისი აღიარების დროს კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს აქტივს და ვალდებულებას საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით, ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით. შემდგომი პერიოდის ფინანსურ ხარჯებს კომპანია ანაწილებს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და აღიარებს შესაბამისი პერიოდის ხარჯად.

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის შემდგომი აღრიცხვა ხორციელდება ბასს 16-ის მიხედვით, სასარგებლო მომსახურების ვადას კომპანია განსაზღვრავს შემდეგნაირად:

- თუ კომპანიას აქვს დიდი მოლოდინი რომ ლიზინგის ვადის გასვლის შემდეგ, მოხდება ამ აქტივის მის საკუთრებაში გადმოსვლა, მაშინ სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება აქტივის მომსახურების ვადის შესაბამისად, თუ არა,
- სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ლიზინგის ვადის პროპორციულად.

აქტივის უკუიჯარით გაყიდვისას თუ გაყიდული აქტივის ამონაგები თანხა მეტია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამ ნამეტს აღრიცხავს გადავედებულ შემოსავლად და პერიოდულად უკეთებს ამორტიზირებას საიჯარო ვადის პროპორციულად.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გავადებული გადასახადისგან. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის სხვაობიდან.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარებისას ისეთი ოპერაციების დროს, რომელიც არ ითვლება საწარმოთა გაერთიანებად და ოპერაციის შესრულების მომენტისათვის არ მოქმედებს არც საგადასახადო და არც ფინანსური მოგების თანხის სიდიდეზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ.

კომპანია ახორციელებს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის და ვალდებულების ურთიერთგადაფარვას თუ მას აქვს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით გადაფაროს მიმდინარე საგადასახადო აქტივები და თუ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება დაკავშირებულია მოგებიდან გადასახადთან, რომელსაც ერთიდაიგივე საგადასახადო ორგანო განსაზღვრავს.

დივიდენდები

დივიდენდი აღიარდება მაშინ, როდესაც ის სამართლებლივად ხდება გადასახდელი. გადასახდელი დივიდენდი პარტნიორების მიმართ გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია აქციონერთა საერთო კრების შედეგად ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით.

თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. სხვა შემოსავალი, შესაბამის ხარჯებთან დანეტებული ფორმით, აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ის წარმოიქმნა.

ხარჯების აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯი აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ მათგან მოსალოდნელი აღარ არის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა.

ხელფასებისა და ბონუსების აღრიცხვა

ხელფასების, პრემიებისა და ბონუსების დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონონიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს მყარი რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

(ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

(ბ) კანონმდებლობიდან; ან

(გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	შენობა-ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ჯამი
ისტორიული ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	**668 353,01**	**329 618,56**	**124 993,79**	**1 122 965,36**
შესყიდვა	360 000,00	2 690,68	2 274,50	**364 965,18**
გასვლა	-	-	-	**-**
31 დეკემბერი 2022	**1 028 353,01**	**332 309,24**	**127 268,29**	**1 487 930,54**
აკუმულირებული ცვეთა				
31 დეკემბერი 2021	**(280 327,59)**	**(318 171,63)**	**(120 821,28)**	**(719 320,50)**
დარიცხული ცვეთა	**(7 478,73)**	**(2 827,53)**	**(1 360,92)**	**(11 667,18)**
ცვეთის შემცირება	**-**	**-**	**-**	**-**
31 დეკემბერი 2022	**(287 806,32)**	**(320 999,16)**	**(122 182,20)**	**(730 987,68)**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	**388 025,42**	**11 446,93**	**4 172,51**	**403 644,86**
31 დეკემბერი 2022	**740 546,69**	**11 310,08**	**5 086,09**	**756 942,86**

6. სასაქონლო - მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

მარაგები	31.12.2022	31.12.2021
ნედლეული და მასალა	240 669	185 509
საქონელი	643 447	682 692
სხვა მარაგები	3 924	3 639
ჯამი	888 040	871 840

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

დებიტორული დავალიანება და ავანსები	31.12.2022	31.12.2021
დებიტორული დავალიანება	13 801	10 254
საეჭვოვალების რეზერვი	(4 171)	(2 593)
ჯამი	9 630	7 661

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული	9 964	57 006
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	52 906	39 085
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	90	-
ჯამი	62 960	96 092

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

კრედიტორული დავალიანება	31.12.2022	31.12.2021
სავაჭროვალდებულებები	13 767	16 401
მიღებული ავანსები	6 282	10 038
ჯამი	20 049	26 440

10. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

საგადასახადო ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2021
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	-	868
ქონების გადასახადი	-	6 567
საპენსიო გადასახადი	-	531
ჯამი	-	7 966

11. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	წილი	31.12.2022	31.12.2021
ისმეთუტიბა	50%	1 005	1 005
ლია შათირიშვილი	50%	1 005	1 005
ჯამი		2 010	2 010

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

2022-2021 წლების განმავლობაში რეალიზაციიდან შემოსავლის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგნაირად:

შემოსავალი რეალიზაციიდან	31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი მომსახურებიდან	1 120 066	156
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	82	817 639
უვან დაბრუნება და ფასდაკლება	(4 372)	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი (იჯარა)	13 729	-
ჯამი	1 129 505	817 795

13. ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და რისკების განეიტრალების გზები

კომპანიის რისკების მართვა ხორციელდება უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ. უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, უმაღლესი მენეჯმენტის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშებს, რითაც მოწმდება არსებული პროცესების, დასახული მიზნებისა და მიღებული პოლიტიკების მართლზომიერება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია,

აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. საკრედიტო რისკი გამოწვეულია კონტრაგენტისათვის ფულის გასესხებით ან სხვა ტრანზაქციით, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის ზრდასთან.

კომპანია დგას ძირითადი საკრედიტო რისკის წინაშე კომერციულ ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების შემთხვევაში. კომპანიის მომსახურე ყველა ბანკი მოიაზრება საქართველოში მოქმედ უმსხვილეს ბანკებს შორის. ფულისა და ფულის ექვივალენტების გაუფასურებას ადგილი არ ქონია.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული საპროცენტო და სასაქონლო ფინანსური ინსრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშრებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივს და ვალდებულებას გააჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ შესაძლებელია შეიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე არ ახდენს ზეგავლენას ვალუტის ფასის ცვლილება. იქიდან გამომდინარე, რომ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არ გააჩნია კომპანიას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ხელმძღვანელობა აკონტროლებს მსგავსი სახის რისკებს ვადიანობის ანალიზის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესს.

კომპანიის კაპიტალის შესახებ ინფორმაციის ახსნა–განმარტება

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

14. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები, ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24-ის, ,,დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით წარმოადგენს:

ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები;

შესაძლო დაკავშირებული მხარეების განსაზღვრისას, ყურადღება ექცევა საერთო ოპერაციების შინაარსს და არა იურიდიულ ფორმას.

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღისათვის არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომელიც გავლენას მოახდენდა წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე.

16. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

კომპანიის მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა გლობალურმა ,პვლენებმა არსებითი გავლენა ვერ მოახდინა კომპანიის ფინანსურ შემოსავალზე, კომპანია აქტიურ ფაზაშია და ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს საქმიანობის განხორციელებას. კომპანიის ფუნქციონირებადობას საფრთხე არ ემუქრება.

.